IV კვარტალი, 2023

ეკონომიკური ზრდის ტემპის პროგნოზი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2023 წ.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის IV კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 6.2% დაფიქსირდება. მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა 2023 წლის მეოთხე კვარტალში განპირობებულია წინა წელს დაწყებული გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებით. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკის ზრდის საბაზისო ეფექტი მაღალი იყო (2022 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა გაიზარდა 9.7%-ით), ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება კვლავ გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა 2023 წლის III კვარტალში. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2023 წლის III კვარტალში საშუალო რეალური ზრდა 5.4%-ით განისაზღვრა, რაც ჩამორჩება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მესამე კვარტლის პროგნოზს (6.9%)[1].

საბიუჯეტო ოფისის 2023 წლის მეოთხე კვარტლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2022 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით:

- საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობა **დაახლოებით 1.1-ჯერ გაიზრდება** (2019 წლის მეოთხე კვარტლის პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 1.1-ჯერ ნაკლები). ამავე დროს **გაიზრდება ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რიცხოვნობაც**.
- ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად **კვლავ შენარჩუნდება** შიდა ტურიზმის აქტივობა.
- **მცირედით შემცირდება კერძო მოხმარების და გაიზრდება კერძო ინვესტიციების მოცულობა,** ჯამურად გაიზრდება მთლიანი მოხმარება და ინვესტიციები, რაც განაპირობებს ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.



*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს დიაპაზონს, რომელშიც მშპ-ის ზრდის ტემპი იქნება მოცემული. ინტერვალის შეფასება მიღებულია ცენტრალური პროგნოზისა და გასული წლების კვარტალური ეკონომიკური ზრდებიდან ±0.5 სტანდარტული გადახრის ჯამით.

[1] https://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Forecast_2023_Q3_-_GEO.pdf

- მომსახურებით ვაჭრობის მკვეთრი ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდაც.
- მთავრობის საინვესტიციო აქტივობების კლებასთან ერთად, გაზრდილი მთლიანი მოხმარების და კერძო ინვესტიციების მიუხედავად მოსალოდნელია, რომ უმნიშვნელოდ **შემცირდება საქონლის იმპორტის რაოდენობა**.
- გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად, **გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.**

აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია, რომ 2023 წლის მეოთხე კვარტალში იმპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე ექსპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი -1.1%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მშპ-ის ცვლილებას 7.3%-ული პუნქტით განაპირობებს*. საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, 2023 წლის მესამე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში წმინდა ექსპორტი 1.4%-ული პუნქტით, ხოლო აბსორბციის კომპონენტი 4.1%-ული პუნქტით განისაზღვრა.



*2023 წლის IV კვარტლის მშპ-ის ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.

დამატებითი ინფორმაცია:

[წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები]

[განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ]